აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

BOARD OF REPRESENTATIVES OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59 ტელ: (+995 431 244778) ფაქსი (+995 331) 24 38 33
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება

№ 192

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

ქ. ქუთაისი **26 ივნისი 2018 წ.**

1. დამტკიცდეს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის" წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტი წარმოდგენილი სახით.
   / რეგლამენტი თან ერთვის/

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: **პროფ. სულხან კუპრაშვილი**

დამტკიცებულია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

რეგლამენტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტი (შემდგომში ,,რეგლამენტი“) განსაზღვრავს წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილებათა განხორციელების წესსა და პროცედურებს.
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,აწსუ“ ან „უნივერსიტეტი“) წარმომადგენლობითი საბჭო არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კოლეგიური წარმომადგენლობითი ორგანო.
3. წარმომადგენლობით საბჭოს აქვს ბეჭედი და ბლანკი წარწერით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

მუხლი 2. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობა, სპიკერის, მდივნისა და სპიკერის თანაშემწის არჩევა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველი სხდომა მოიწვევა უნივერსიტეტის რექტორის მიერ, საბჭოს წევრების არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.
2. პირველ სხდომას თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. წარმომადგენლობითი საბჭო პირველივე სხდომაზე ნიშნავს სპიკერის არჩევნების თარიღს.
3. წარმომადგენლობითი საბჭო ახალარჩეული წევრების უფლებამოსილებას ცნობს საბჭოს პირველ სხდომაზე. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.
4. წარმომადგენლობითი საბჭო ფარული კენჭისყრით, საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სპიკერს. კენჭისყრას ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
5. წარმომადგენლობით საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 10 პროცენტი, სპიკერის არჩევნებამდე არაუგვიანეს 3 დღისა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას წარუდგენს სპიკერის კანდიდატურას. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმას მისცემს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ორი ან ორზე მეტია და ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს უმეტესი ხმების მქონე ორ პრეტენტენტს შორის ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არა უგვიანეს 7 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი. ახალი არჩევნები ტარდება იმავე წესით. წინა

არჩევნებში მონაწილე პრეტენტენტები შემდეგ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

6. სპიკერს ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭო მისი შემადგენლობაში შემავალი აკადემიური პერსონალიდან წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი აირჩევა ამ საბჭოს უფლებამოსილების ვადით.

8. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის თანაშემწე აირჩევა საბჭოს სტუდენტური შემადგენლობიდან მათი საბჭოში უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 3. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილება

1. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.
2. წარმომადგენლობითი საბჭო:

ა) შეიმუშავებს უნივერსიტეტის წესდებას აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;

ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს;

გ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

დ) ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს;

ე) აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატურის წარდგენიდან 10 დღის ვადაში ფარული კენჭისყრით ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სიით შემადგენლობის უმრავლესობით.

ვ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს, საშტატო ნუსხას და განსაზღვრავს სახელფასო ფონდს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ზ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე;

თ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს;

ი) აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

კ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღებისა და ატესტაციის წესებს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;

ლ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

მ) აკადემიური საბჭოს წარდგინებით, წარდგენიდან 5 დღის ვადაში სიით შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას ან დასაბუთებულ უარს აცხადებს მის დამტკიცებაზე.

ნ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებას;

ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. წარმომადგენლობითი საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს დადგენილებას, რომელსაც ხელს აწერს სპიკერი/თავმჯდომარე.

მუხლი 4. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მოწვევა და მუშაობის წესი

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა მოიწვევა სპიკერის ან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით. რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომები იმართება რეგლამენტით განსაზღვრულ ვადებში.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ რეგლამენტით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს დამსწრე წევრთა უმრავლესობა.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებს უძღვება სპიკერი ან მისივე დავალებით საბჭოს ერთ-ერთი წევრი. სპიკერის არყოფნის შემთხვევაში კი, საბჭოს წევრთაგან არჩეული სხდომის თავმჯდომარე.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ მხარეს უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერთან შეთანხმებით ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც წინასწარ გადასცემს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს უფლება აქვთ დღის წესრიგის პროექტში სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 2 დღისა, დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, სხდომის თავმჯდომარე, სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

8. საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სხდომის მონაწილე წევრთა უმრავლესობა, ხმების გაყოფისას თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

9. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია (ხელის აწევა), გარდა კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა.

11. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს არა აქვს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.

12. კენჭისყრის პროცესის ჩატარებისას იკრძალება წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება.

13. სპიკერს/თავჯდომარეს შეუძლია სხდომის მიმდინარეობა გარკვეული დროით შეაჩეროს ან საერთოდ შეწყვიტოს, თუ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები აქტუალური არ არის ან ამოწურულია.

14. სხდომა შესვენების ჩათვლით გრძელდება არაუმეტეს 3 საათისა. სხდომის მიმდინარეობა შეიძლება გაგრძელდეს დამსწრე წევრთა უმრავლესობის თანხმობით.

15. მომხსენებელთა გამოსვლის (პროექტის წარმოდგენის) დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს, ხოლო საბჭოს წევრის მოსაზრების გამოთქმა - 5 წუთს.

16. წარმომადგენლობითი საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ იწარმოება ოქმი. შესაძლებელია განხორციელდეს სხდომის აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

17. ოქმი მოიცავს: სხდომის თარიღს, დაწყებისა და დასრულების დროს. სხდომის წევრებისა და მოწვეულ პირთა სიას. დღის წესრიგს. სიტყვაში გამომსვლელთა ტექსტსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს.

18. განსახილველ საკითხზე წარმოდგენილი წერილობითი განმარტებები დაერთვის ოქმს დანართის სახით.

19. ოქმს ხელს აწერს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი/სხდომის თავმჯდომარე და წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი. ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება წარმომადგენლობითი საბჭოს ბეჭედი.

20. წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებას ხელს აწერს სპიკერი/სხდომის თავმჯდომარე.

მუხლი 5. წარმომადგენლობითი საბჭოს ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი.

2. მდივანი უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას აწსუ-ს წესდებისა და წინამდებარე რეგლამენტის შესაბამისად.

3. მდივანი ვალდებულია უზრუნველყოს წარმომადგენლობითი საბჭოს აქტების მიწოდება აწსუ-ს სტრუქტურული ერთეულებისათვის და ასევე შესაბამისი უფლებამოსილი პირებისათვის.

მუხლი 6. რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. წინამდებარე რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით.